05/09/2022

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიქოზში ანიმაციური ფილმების მეათე საერთაშორისო ფესტივალი „ნიქოზი“ მიმდინარეობს.

ფესტივალი 2011 წლიდან იმართება. მეათე საიუბილეო ფესტივალში წელს მონაწილეობის მისაღებად ნიქოზს სტუმრები მსოფლიოს რამდენიმე ქვეყნიდან ეწვივნენ. ღონისძიების ფარგლებში როგორც ქართველი, ისე უცხოელი რეჟისორების ფილმების ჩვენება, გამოფენები, კლასიკური მუსიკის საღამოები და ფოლკლორული კონცერტები იმართება.

2022 წლის 1 სექტემბერს ფესტივალის გახსნას ესწრებოდნენ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი თეა ახვლედიანი, შიდა ქართლში სახელმწიფო რწმუნებული მიხეილ შაყულაშვილი, გორის მუნიციპალიტეტის მერი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე, საქართველოში იაპონიის, ნიდერლანდების სამეფოს, პოლონეთის ელჩები და სხვა საერთაშორისო მისიების წარმომადგენლები.

ფესტივალის გახსნის ცერემონიაზე ღონისძიების მხარდამჭერი უწყებების წარმომადგენლებმა და სტუმრებმა ისაუბრეს ომით დაშორებული საზოგადოების შერიგებისა და ჩართულობის პროცესში სამშვიდობო ინიციატივების განხორციელების, მათ შორის, ხელოვნებისა და კულტურული ღონისძიებების მნიშვნელობაზე. მადლობა გადაუხადეს ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტ მეუფე ისაიას (ჭანტურია) და ნიქოზის ხელოვნების სკოლას, ასევე სახელმწიფო უწყებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, ყველას, ვინც ძალისხმევა გასწია ფესტივალის დასახმარებლად და აღნიშნეს, რომ მომავალშიც გააგრძელებენ ღონისძიების მხარდაჭერასა და თანამშრომლობას.

International
Animation
Film Festival
1-6/09/2022
Nikozi

[საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური]